პროლეტარელებო, უფლად ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

ოთხშაბათი, 14 სექტემბერი, 1949 წ. № 183 (8486). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ახალი გამარჯვებებით შევხვდეთ დიად დღესასწაულს — მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირში ((1-ლი გვერდი).

ფართოდ ჩავაგბათ პროფკავშირთა მასები ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).

მ. პაჭკორია — ჩაისა და ციტრუსების მეურნეობის გაფართოებაზე ჩვენი მუდმივი ზრუნვის საგანია (მე-2 გვერდი).

უნგრეთის სახელმწიფო პროკურატურის საბრალდებო აქტი რაიკისა და მის თანამოზიარეთა საქმეზე (მე-3 და მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ახალი გამარჯვებებით შევხვდეთ დიად დღესასწაულს

ახლოვდება დიდი ოქტომბრის დღესასწაული. სოციალისტური წყობილება, რომელიც პირველად აღმოცენდა და განმტკიცდა ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის რევოლუციის შედეგად, წლითიწლობით ვითარდება და ახალ-ახალ პოზიციებს იპყრობს. ჩვენი ქვეყანა მისაბაძი და მაგალითის მიმცემი ხდება სხვა ხალხებისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის. ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური წყობილების გამარჯვებამ, უძლეველი საბჭოთა არმიის მიერ ფაშიზმის განადგურებამ უზრუნველყო სახალხო-დემოკრატიული წყობილების აღმოცენება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომელთა ხალხები დიდი საბჭოთა კავშირის აქტიური ხელშეწყობითა და დახმარებით მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება მაგალითის მიმცემი გახდა ჩინელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის გომინდანის კონტრრევოლუციური რეჟიმისა და ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტების წინააღმდეგ.

თავის ტრადიციულ დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის 32-ე წლისთავს საბჭოთა ხალხი, რომელსაც ლენინ-სტალინის დიადი პარტია ხელმძღვანელობს, უდიდესი გამარჯვებებით ხვდება სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, კულტურასა და ხელოვნებაში. სამნახევარი წლის წინათ, როდესაც საბჭოთა ხალხი შეუდგა მეოთხე სტალინური ხუთწლედის განხორციელებას, დიდმა სტალინმა თქვა: „ჩვენი ქვეყნის მუშებმა გლეხებმა და ინტელიგენციამ ხუთწლიანი გეგმა მიიღეს როგორც საბრძოლო პროგრამა, რომელიც მათს საარსებო ინტერესებს შეესაბამება. შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ საბჭოთა ადამიანები, კომუნისტური პარტიის მეთაურობით, არ დაიშურებენ ძალებსა და შრომას იმისათვის, რომ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულონ ახალი ხუთწლედი“.

ხუთწლედის განხორციელებისათვის ბრძოლის განვლილმა წლებმა მეტყველურად დაადასტურეს ამხანაგ სტალინის განჭვრეტის სისწორე. საბჭოთა ინდუსტრიამ კარგა ხანია უკან ძოიტოვა განვითარების ომამდელი დონე და გიგანტური ნაბიჯით მიდის წინ. სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობის საფუძველზე ძირითადად დადაჭრილია მარცვლეულის პრობლემა. სახალხო მეურნეობაში მოპოვებულმა უდიდესმა წარმატებებმა მტკიცე საფუძველი შექმნეს საბჭოთა ხალხის მატერიალურ-კულტურული მდგომარეობის განუხრელი აღმავლობისათვის.

რის დაპირისპირება შეუძლია ძირგამომპალ კაპიტალისტურ სამყაროს სოციალიზმის ქვეყნის ამ გამარჯვებათათვის? — იქ, კაპიტალის ქვეყნებში დღითიდღე ძლიერდება ეკონომიური კრიზისი, იზრდება უმუშევრობა, მცირდება მშრომელთა საარსებო დონე. ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც სახელმწიფო ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი ახალი ომისათვის მზადებას ხმარდება, ექვს მილიონამდე უმუშევარია, ხოლო თორმეტ მილიონამდე ადამიანი კვირაში მხოლოდ ორ-სამ დღეს მუშაობს. მარტო უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში სამუშაო დაკარგა ორ მილიონამდე მუშამ და გასული წლის ნოემბრიდან მიმდინარე წლის აგვისტომდე წარმოება 17 პროცენტით შემცირდა. კიდევ უფრო კატასტროფულია ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ჰოლანდიის, ბელგიისა და ამერიკისაგან დამოკიდებული ბევრი სხვა ქვეყნის მდგომარეობა.

საბჭოთა ხალხი რწმენით მიდის წინ კომუნიზმისაკენ. იგი თავისი ტრადიციული დღესასწაულის — დიდი ოქტომბრის საზეიმო დღის ღირსეული შეხვედრისათვის ყოველწლიურად აჩაღებს სოციალისტურ შეჯიბრებას ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, გამარჯვების პატაკებით გამოდის საღღესასწაულო დემონსტრაციაზე.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ ჩაღდება ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, საკოლმეურნეო სოფელში. მთელ რიგ საწარმოთა კოლექტივები კისრულობენ წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესრულებას, პროდუქციის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას, თვითღირებულების შემცირებას. საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების მოპოვებისათვის იბრძვიან დაზგათმშენებლები და მანქანათმშენებლები, მეშახტეები და მაღაროელები, ენერგეტიკოსები და მეტალურგები, რკინიგზელები და ფეიქრები, მკერავები და მეტრიკოტაჟეები, კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელები. ციროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა აგვისტოში გეგმის გადამეტებით რამდენიმე დაზგა გამოუშვა და სექტემბერში უფრო მეტ წარმატებას აღწევს. თბილისის საელმავლო დეპოში ამ დღეებში სწრაფი მეთოდით საშუალო შეკეთებიდან გამოუშვეს ელექტრომავალი, რასაც ნორმით გათვალისწინებული 18 დღის ნაცვლად რვა დღე მოანდომეს. მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში, სადაც უკვე გადააჭარბეს შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის საღღეღამისო გამოშვების ომამდელ დონეს, მთელი რიგი ბრიგადები მთლიანად პირველხარისხოვანი ქსოვილის გამოშვებას აღწევენ. ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის იმ უბნის მეშახტეებმა, რომელსაც ინჟინერი ბ. ჯალალანია ხელმძღვანელობს, აგვისტოში გეგმის გადამეტებით 1.500 ტონა ქვანახშირი ამოიღეს და 7 ნოემბრისათვის 11 თვის გეგმის შესრულება იკისრეს. მსგავსი მაგალითი უამრავია, რაც ცხადყოფს ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების სოციალისტურ დამოკიდებულებას შრომისადმი, მათი შეგნებულობის ამაღლებას, სამშობლოს სიყვარულს, მისი შემდგომი ძლიერების განმტკიცებისათვის თავდადებულ ბრძოლას.

ენერგიის დაუზოგავად შრომობენ საკოლმეურნეო მინდვრებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის მშრომელები. მთავრდება მარცვლეულის უხვი მოსავლის აღება, წარმატებით მიმდინარეობს პურის დამზადება, ჩაის ფოთლის კრეფა. მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებმა უკვე შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმა და ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ მრავალი ასეული ტონა ჩაის ფოთოლი. დაიწყო ახალი მოსავლის თამბაქოს ჩაბარება სახელმწიფოსათვის, საშემოდგომო თესვა, მიმდინარეობს მზადება მაქრის ჭარხლის, ყურძნისა და სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების აღებისათვის, გაჩაღებულია მუშაობა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის განსახორციელებლად.

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციების მოვალეობაა საფავეში ჩაუდგნენ მშრომელთა ამ ახალ აღმავლობას, უნარიანად უხელმძღვანელონ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებას, უზრუნველყონ მორიგ გამარჯვებათა მოპოვება.

ფართოდ გავაჩაღოთ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ახალი გამარჯვებებით აღვნიშნოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავი!

ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 120 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი

წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობებმა 100,6 პროცენტით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) წყალტუბოს რაიკომის მდივანი ამხ. ჭახრაკია და მშრომელთა დეპუტატების წყალტუბოს რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მეფარიშვილი იტყობინებიან, რომ წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 120 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ხობის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 100 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი

ხობის რაიონის კოლმეურნეობებმა 100,2 პროცენტით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) ხობის რაიკომის მდივანი ამხ. სიორდია და მშრომელთა დეპუტატების ხობის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ჩოკორაია იტყობინებიან, რომ ხობის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 100 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

საბჭოთა კავშირში

გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერების სახელობის პრემიები

8 სექტემბერს აკადემიკოს ს. ი. ვავილოვის თავმჯდომარეობით შედგა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომა. პრეზიდიუმმა დააწესა ახალი პრემიები გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერების — ჩვენი ქვეყნის ორიგინალური მეცნიერული სკოლების შემქმნელების ხსოვნის უკვდავსაყოფად.

ლ. ა. ჩუგაევის სახელობის პრემიას 10 ათასი მანეთის რაოდენობით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ყოველწლიურად მიაკუთვნებს არაორგანული ქიმიის დარგში საუკეთესო ნაშრომებს. ლ. ა. ჩუგაევის მეცნიერული აღმოჩენანი საფუძვლად დაედო ძვირფასი ლითონების დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიას.

დაწესებულია ნავთის შესახებ თანამედროვე მოძღვრების ფუძემდებლის აკადემიკოს ი. მ. გუბკინის სახელობის ორი პრემია.

აკადემიკოს ი. მ. გუბკინის სახელობის პრემიებს, თვითეულს 10 ათასი მანეთის რაოდენობით, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი 3 წელიწადში ერთხელ მიაკუთვნებს. (საკდესი).

უნიკალური წიგნი რუსი მეიარაღეების შესახებ

ლენინგრადი, 9 სექტემბერი. (საკდესი). სამთო ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის ფონდებში აღმოჩნდა 1827 წელს გამოშვებული უნიკალური წიგნი „ზლატოუსტის იარაღის ფაბრიკის ატლასი“. წიგნში არის ცნობილი მეიარაღეებისა — ძმების ვასილ და ივანე ბოიარშინოვების მიერ გაკეთებული 49 ნახაზი და ნახატი: ზლატოუსტელი ოსტატების ინსტრუმენტებისა და ნაწარმის ნახაზები, ჩანახატები, რომლებიც გვიჩვენებენ „ბრძმედის და ბოვის მოქმედებას“, იარაღის პირის წრთობას და სხვა ტექნოლოგიურ პროცესებს.

ატლასი ცხადყოფს XIX საუკუნის დამდეგის რუს მეიარაღეთა შესანიშნავ ოსტატობას, სამთო საქმის მაღალ ტექნიკურ კულტურას ჩვენი ქვეყნის ერთერთ უძველეს საწარმოში — ზლატოუსტის ქარხანაში.

ამ წიგნის გამოშვება დაემთხვა გამოჩენილი ნოვატორის, ბრწყინვალე რუსი მეცნიერისა და პრაქტიკოსი მეტალურგის პ. პ. ანოსოვის დიდ მოღვაწეობას. მან გამოიგონა განსაკუთრებული მაღალხარისხოვანი ფოლადი სხვადასხვა ჯავარდნის გასაკეთებლად. მისი ხელმძღვანელობით გაკეთებული განთქმული ზლატოუსტური იარაღის პირი გაცილებით სჯობდა საუკეთესო ინგლისური ფოლადის იარაღს.

7 სექტემბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ა. მ. კირხენშტეინმა ლენინის ორდენი გადასცა სოციალისტური შრომის გმირს საქართველოს სსრ ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ა. მ. როგავას, რომელიც დაჯილდოებულია 1948 წელს ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის, რაც იძლევა სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების უფლებას. ამხ. როგავამ 58 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.420 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ფოტო ვ. კოვრიგინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ოქტომბრის 32-ე წლისთავისათვის ყველა მუშამ უნდა შეასრულოს საშუალო პროგრესიული ნორმები

ფეიქარ ვასილ კანახინის ძვირფასი წამოწყება

კოხმა (ივანოვოს ოლქი), 9 სექტემბერი. (საკდესი). კოხმის ბამბეულის კომბინატის ქსოვის ოსტატის ერთერთმა საუკეთესო თანაშემწემ ვასილ კანახინმა თავისი საწარმოს კოლექტივს მიმართა მოწოდებით—მიაღწიოს იმას, რომ ოქტომბრის 32-ე წლისთავისათვის ყველა მუშამ და ოსტატის თანაშემწემ აითვისოს საშუალო-პროგრესიული ნორმები.

ამხ. კანახინის კომპლექტი ქსოვს ჟაკარდის შალსა და კრეპ „გაზაფხულს“. ფეიქართა უმრავლესობა აქ თვითეულ დაზგაზე 1 საათში უკვე ქსოვს 4,6 მეტრ კრეპს—დაკალებაზე 0,5 მეტრით მეტს. ბევრმა საშუალო-პროგრესიულ ნორმას მიაღწია ჟაკარდის შალის გამოშვებაში.

— ჩვენი კომბინატის კოლექტივი ცუდად როდი მუშაობს, მაგრამ შეგვიძლია უკეთესად ვიმუშაოთ, მეტი საუკეთესო ქსოვილი გამოვუშვათ,—განაცხადა ამხ. კანახინმა.—ამისათვის მძლავრ რეზერვს წარმოადგენს ყველა მუშის მიერ საშუალო-პროგრესიული ნორმების შესრულება. თუ თვითეული მრთველი და მქსოველი აითვისებს ნორმას, საწარმოს შეეძლება დამატებით მისცეს ჩვენს ქვეყანას მრავალი ათეული ტონა ნართი და ასეულ ათასობით მეტრი ქსოვილი.

სტახანოველის მოწოდებას გამოეხმაურა სართავი, საქსოვი და გამოსაყვანი წარმოების ასობით მუშა. მრავალმა მათგანმა შეჯიბრების პირველსავე ღღეს გაადიდა გამომუშავება. სართავი საამქროს ოსტატის თანაშემწის ამხ. როხინის ბრიგადამ ვალდებულება იკისრა აითვისოს საშუალო-პროგრესიული ნორმები სექტემბერში და ამჟამად ცვლაში 56 კილოგრამით მეტ ნართს იძლევა, ვიდრე წინათ.

კოლომნელ ორთქლმავალმშენებელთა საოქტომბრო შეჯიბრება

კოლომნა, 9 სექტემბერი. (საკდესი). კოლომნის კუიბიშევის სახელობის ქარხნის ორთქლმავალმშენებლებმა გადაწყვიტეს ახალი საწარმოო წარმატებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის 32-ე წლისთავს.

საამქროებში წარმოებს ბრძოლა ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი მიწერილი წერილით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის. უკვე დაზოგილია ათასამდე ტონა ლითონი, 2.283 ტონა სათბობი და მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია.

სახელმწიფო ბანკში შეტანილია ბრუნვიდან განთავისუფლებული 11 მილიონ 250 ათასი მანეთი.

მოღდავურ ენაზე გამოიცა ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი ტომი

კიშინიოვი, 8 სექტემბერი. (საკდესი). მოლდავეთის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ მოლდავურ ენაზე გამოსცა ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი ტომი. ტომი დასაბეჭდად მოამზადა მოლდავეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიამ.

შეუი ქარხნები წვრილ საწარმოებს ეხმარებიან

მოსკოვის სტალინის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის 25 საწარმომ და სარეწაო არტელმა შეასრულა ხუთწლიანი გეგმა.

მოსკოვის საინსტრუმენტო ქარხნის კოლექტივის ინიციატივით აქ შეიქმნა ახალი მოძრაობა — დიდი საწარმოების შეფობა ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო არტელებისადმი. მათი ხელშეწყობით რაიონში ოცი ახალი საამქრო ამუშავდა, დამატებით დაიდგა 200-ზე მეტი დაზგა და აგრეგატი, ათვისებულია 200-მდე ახალი სახის ნაწარმი.

რაიონული საბჭოს სესიამ, რომელმაც განიხილა ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის მუშაობა, საჭიროდ ცნო გაავრცელოს შეფობა ადგილობრივი მრეწველობის ყველა საწარმოსა და არტელზე. (საკდესი).

მოგებათა ჯირაკები სექტემბერში

სექტემბერში შედგება სახელმწიფო სესხების მოგებათა სამი ტირაჟი.

18 სექტემბერს სამარყანდში მოეწყობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის მოგებათა მეოთხე ტირაჟი. სესხის 228 თანრიგზე გათამაშდება 524.719.200 მანეთის საერთო თანხის 1.966.500 მოგება.

30 სექტემბერს თბილისში შედგება სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სახელმწიფო სესხის მოგებათა ორი ტირაჟი—მე-11 ძირითადი და მე-2 დამატებითი ტირაჟები.

ძირითად ტირაჟში სესხის 1 მილიარდი მანეთის თანრიგზე გათამაშდება 4.650.200 მანეთის 8.500 მოგება, მათ შორის ორი 50-ათასმანეთიანი მოგება, ხუთი—25-ათასმანეთიანი, ოცდახუთი—10-ათასმანეთიანი, ოთხმოცი — ხუთიათასმანეთიანი, შვიდასი — ათასმანეთიანი და 7.688 ოთხასმანეთიანი მოგება.

ამ ტირაჟში მონაწილეობს ყველა ობლიგაცია, მათი შეძენის დროის გაანურჩევლად:

დამატებით ტირაჟში სესხის თვითეულ თანრიგზე გათამაშდება 11.500 მოგება.

მოგებანი, რომლებიც მეორე დამატებით ტირაჟს ხვდება, ანაზღაურდება იმ პირობით, თუ ობლიგაციები შეძენილი იყო ტირაჟამდე 9 თვით ადრე მაინც, ე. ი. 1949 წლის 1 იანვრამდე, და თუ მათთან არის № 2 და ყველა მომდევნო ტალონი. (საკდესი).

ახმეტისა და ახალციხის რაიონების კოლმეურნეობებმა შეასრულეს ხორბლის დამზადების გეგმა

ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებმა 102,5 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორბლის ჩაბარების გეგმა. მათ ვალდებულება იკისრეს ვადამდე შეასრულონ აგრეთვე სიმინდის ჩაბარების გეგმა.

* * *

ახალციხის რაიონის კოლმეურნეობებმა 106 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორბლის ჩაბარების გეგმა. მათ ვალდებულება იკისრეს ვადამდე შეასრულონ აგრეთვე სიმინდის ჩაბარების გეგმა.

წყალტუბოს, ახალციხისა და ჭიათურის რაიონების კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 106,5 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა.

* * *

ახალციხის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 112 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა.

* * *

ჭიათურის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 100,3 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა.

ფართოდ ჩავაბათ პროფკავშირთა მასები ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი

12 სექტემბერს შრომის სასახლის კლუბში შედგა საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მესამე პლენუმი. პლენუმი გახსნა პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ი. კოჭლამაზაშვილმა. მოხსენებით — „საქართველოს პროფკავშირთა ამოცანები ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების დარგში“ — გამოვიდა პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. გიორგაძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენი პარტია და ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობენ სპორტის განვითარებას, სპორტულ მოძრაობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმას. ამ მხრივ პროფკავშირებს, როგორც ყველაზე მასობრივ ორგანიზაციებს, დიდი და პასუხსაგები ამოცანა აქვთ დაკისრებული. მათ უნდა შესძლონ პროფკავშირთა წევრების მასობრივად ჩაბმა სპორტში, განავითარონ სპორტის სხვადასხვა სახეობანი, იბრძოლონ ახალი სასპორტო მიღწევებისათვის.

საქართველოს პროფესიულმა კავშირებმა ფიზკულტურისა და სპორტის დარგში უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. სპორტულ მუშაობაში ჯერ კიდევ არ არიან მასობრივად ჩაბმული პროფკავშირთა წევრები. პროფკავშირების ხაზით სპორტული მუშაობის გამოცოცხლებას დიდად შეუწყო ხელი პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საბჭოს შექმნამ, სხვადასხვა დარგობრივ პროფკავშირებთან ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების განმტკიცებამ.

წელს საქართველოს პროფკავშირებმა სპორტულ მოძრაობაში აქტიურად უნდა ჩააბან სულ ცოტა 80.000 პროფკავშირის წევრი. ახალი ფიზკულტურული-სპორტული კოლექტივები უნდა ჩამოვაყალიბოთ ტერიტორიული პრინციპით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის კარგად მომუშავე ცალკე პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად (ბათუმის ტყავის გადამამუშავებელი ქარხნის, თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის და მთელ რიგ სხვა საწარმოთა პროფორგანიზაციები) არიან ისეთი ორგანიზაციებიც, სადაც სასპორტო მუშაობას გულგრილად ეკიდებიან. ფიზკულტურული მუშაობის შეუფასებლობას ადგილი აქვს თბილისის მეორე და ბათუმის თამბაქოს ფაბრიკებში, აგრეთვე მთელ რიგ სხვა საწარმოებში.

მომხსენებელი მიუთითებს, რომ საჭიროა პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა გააძლიერონ მუშაობა ფიზკულტურისა და სპორტის საზოგადოებრივი ინსტრუქტორების, მწვრთნელების და ორგანიზატორების მოსამზადებლად, მტკიცედ დაიცვან საბჭოთა სპორტული ეთიკა, იდეურად აღზარდონ სპორტსმენები, ორგანიზაციულად განამტკიცონ ყველა სპორტული კოლექტივი და მეტი ინიციატივა გამოიჩინონ ადგილობრივი სასპორტო ბაზების (სტადიონები, ფიზკულტურული მეთოდები) შესაქმნელად.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ნავთის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გოგუამ, სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. კვირიკაშვილმა, თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის დირექტორმა ამხ. თუშიშვილმა, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „პიშჩევიკის“ თავმჯდომარემ ამხ. კაზირიამ, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზკულტურული კათედრის გამგემ ამხ. ზაუტაშვილმა, ჭიათურელ სტახანოველთა წარმომადგენელმა ამხ. ღავთაძემ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ექიმმა ამხ. კუნჭულიამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ფარულავამ, სპორტის ოსტატმა ამხ. სანებლიძემ და სხვებმა.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა ამხ. ი. კოჭლამაზაშვილმა. პლენუმმა დასახა ღონისძიებები ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში პროფკავშირთა წევრების მასობრივი ჩაბმის უზრუნველსაყოფად.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 25 მაისის ბრძანებულების შესაბამისად, **ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის** უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, 1948 წელს მტს-ების მუშაობის ნატურანაზღ ურების გეგმები, **დაჯილდოებულ იქნან:**

ორდენი წითელი დროშის ორდენით

196. **სიდიროპულო** მილტიადე კირიაკეს-ძე—ქობულეთის რაიონის დაგვის სასოფლო საბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.872 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

197. **სიორიძე** გალაქტიონ სიმონის-ძე — მახარაძის რაიონის კონჭკათის სასოფლო საბჭოს ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც 51,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 4.847,9 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

198. **სიხარულიძე** ლუბა მოსეს ასული — ჩოხატაურის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.885 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

199. **სოსელია** ნიკიფორე ალექსის-ძე — ზუგდიდის რაიონის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.157 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

200. **სრიბნოვა** ვალენტინა პეტრეს ასული — ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.189 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

201. **სტილიდი** ივანე თევდორეს-ძე — ქობულეთის რაიონის დაგვის სასოფლო საბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.592 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

202. **სტილიდი** ხარლამპე ილიას-ძე— ქობულეთის რაიონის დაგვის სასოფლო საბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 2,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.795 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

203. **სურგულაძე** მიხეილ ნიკოლოზის-ძე — მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების აგრონომი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 23,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

204. **თავაძე** ეკატერინე ეგნატეს ასული — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.112 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

205. **თავაძე** გალაქტიონ ივანეს-ძე— ჩოხატაურის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების აგრონომი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 42,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

206. **თავაძე** არტემ ყაისარის-ძე — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც 34 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 5.202 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

207. **თავაძე** ბალისო ანდრიას ასული — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.434 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

208. **თავაძე** ევსიხი ლევანის-ძე — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც 34 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 5.202 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

209. **თავაძე** თეკლე ტარიელის ასული — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.248 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

210. **თავდიშვილი** მელიტონ დიმიდის-ძე — მახარაძის რაიონის „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.413 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

211. **ტაკიძე** არტემ ფილიპეს-ძე — მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც 34 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 5.202 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

212. **ტაკიძე** ლიზა ერმოლოზის ასული—ლანჩხუთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.184 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

213. **თევდორაძე** ანეტა ვარლამის ასული — ლანჩხუთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.339 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

214. **თევდორაძე** ეკატერინე მაქსიმეს ასული — ლანჩხუთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.570 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

215. **თევზაძე** თინა აკაკის ასული— მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.337 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

216. **ტერვისიდი** ოლია პანაეტის ასული — ქობულეთის რაიონის დაგვის სასოფლო საბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.447 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

217. **თოიძე** ლიუდმილა ირაკლის ასული — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.116 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

218. **თოხაძე** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე — მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების აგრონომი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 23,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

219. **ტუღუში** კარლო ნესტორის-ძე — მახარაძის რაიონის კონჭკათის სასოფლო საბჭოს ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც 51,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 4.347,9 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

220. **ტუღუში** ვლადიმერ გიგოს-ძე —მახარაძის რაიონის კონჭკათის სასოფლო საბჭოს ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც 51,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 4.347,9 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

221. **თურმანიძე** ხურიე ქერიმის ასული — ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.030 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

222. **თურმანიძე** ხურიე ხულუსის ასული — ბათუმის რაიონის კოლმეურნეობა „კულტურის" წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.237 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

223. **თურმანიძე** შირინ დურსუნის-ძე—ქობულეთის რაიონის დაგვის სასოფლო საბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 2,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.020 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

224. **ურუშაძე** შალვა კირილეს-ძე— მახარაძის რაიონის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც 51,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 4.013,6 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

225. **ურუშაძე** ელენე ისაკის ასული — მახარაძის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.027 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

226. **ურუშაძე** ქრისტეფორე მელქისეს-ძე — ლანჩხუთის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 3.116,6 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

227. **ხარაძე** გული ბილალის ასული —ბათუმის რაიონის კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.120 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

228. **ხარატი** პატკუ სერაფიონის ასული—მახარაძის რაიონის „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.434 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

229. **ხასია** ლილი მარკოზის ასული — ზუგდიდის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.700 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

230. **ხინიკაძე** ლიდა არტემის ასული — მახარაძის რაიონის „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.966 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

231. **ხინთიბიძე** კონსტანტინე ელიზბარის-ძე—მახარაძის რაიონის „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.112 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

232. **ხომერიკი** ეკატერინე გიორგის ასული — მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.153 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

233. **ხომერიკი** ივანე სოლომონის-ძე — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც 34 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 5.202 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

234. **ხომერიკი** კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე — მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6,8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.642 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

235. **ხომერიკი** ლუბა ვლადიმერის ასული — მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.835 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

236. **ხომერიკი** ნინო მოსეს ასული — მახარაძის რაიონის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 6.698 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

237. **ხომერიკი** სონია ივანეს ასული — მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 4,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.206 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

238. **ხომერიკი** ჭიჭიკო არსენის-ძე — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, ომომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც 34 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 5.202 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

239. **ხოროშვილი** მინერა ოსმანის ასული — ბათუმის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.252 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

240. **ხურციძე** ივანე არტემის-ძე — მახარაძის რაიონის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც 51,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 4.013,6 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

241. **ხურციძე** ანა იაგორის ასული — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას. სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.447 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

242. **ხურციძე** ელენე მოსეს ასული— მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.863 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

243. **ცენტერაძე** ვერა ეპიფანეს ასული — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,9 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 6.041 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

244. **ცენტერაძე** ნინო ნიკოლოზის ასული — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო-საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.349 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

245. **ცენტერაძე** თეოლინა ისიდორეს ასული — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურეხეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.030 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

(გაგრძელება იქნება)

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი" № 177, 178, 179, 180, 181, 182.

თათბირი პარჯიუღი განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხებზე

სოხუმი. (საკ. კორ.). პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხს მიეძღვნა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში მემდგარი თათბირი. თათბირზე აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო წლისათვის მზადება შარშანდელთან შედარებით წელს ადრე დაიწყო და უკეთ მიმდინარეობს. ძირითადად დამთავრებულია წრეებისა და პოლიტსკოლების დაკომპლექტება, პროპაგანდისტების შერჩევა და წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა აღრიცხვა. საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან განახლდა პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობა.

ახალი სასწავლო წლისათვის კარგად ემზადებიან სოხუმისა და ტყვარჩელის საქალაქო და სოხუმისა და გალის რაიონული პარტიული ორგანიზაციები. მათ უკვე შეარჩიეს და დაამტკიცეს პროპაგანდისტები. დამტკიცებული არიან კომკავშირული პოლიტქსელის პროპაგანდისტებიც.

ამასთან თათბირმა აღნიშნა ლექციური პროპაგანდისა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის დახმარების გაძლიერების აუცილებლობა. აღინიშნა ისიც, რომ გულრიფშის რაიონში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს პროპაგანდისტებისა და კონსულტანტების შერჩევა და წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა აღრიცხვა. კომკავშირული პოლიტწრეების დიდი ნაწილისათვის დღემდე შერჩეული არ არიან პროპაგანდისტები.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ტუსკაძემ.

პროპაგანდისტთა მომზადება

ჟუთაისი. (საკ. კორ.). წულუკიძის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში ყოველდღიურად ათობით პროპაგანდისტი იღებს ახსნა-განმარტებასა და კონსულტაციას. პროპაგანდისტის ოთახი, რომელიც ახალი ლიტერატურით შეივსო, სერიოზულ დახმარებას უწევს მისულთ. ყოველი სემინარის წინ პროპაგანდისტები იკრიბებიან ამ ოთახში და პარტკაბინეტის კონსულტანტთა მონაწილეობით ცხოველ დისკუსიას მართავენ ცალკეულ საკითხებზე.

ამიტომაა, რომ როგორც საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსისა და ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტების, ისე პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა დიდი უმრავლესობა საუკეთესოდ მეცადინეობს. განსაკუთრებით გამოირჩევიან ალ. კუპრაშვილი (№ 19 სახელოსნო სასწავლებელი), ა. თავდგირიძე (აბრეშუმის კომბინატი), ი. ბალათურია (სამკერვალო ფაბრიკა), ქ. ტყეშელაშვილი (ქუთაისრობა) და სხვა.

პროპაგანდისტთა მომზადებას დიდად უწყობს ხელს მაღალკვალიფიციური ლექტიები, რომლებსაც კითხულობენ კვალიფიციური ლექტორები.

ჩაის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობას 10 სექტემბრისათვის წლიური გეგმა შესრულებული აქვს 105,8 პროცენტით, ლესიჭინის საბჭოთა მეურნეობას — 105,8, წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობას —108,0, ხოლო მოქვის საბჭოთა მეურნეობას—111,8 პროცენტით.

სულ საბჭოთა მეურნეობებმა წლიური გეგმა შეასრულეს 92,5 პროცენტით. გონიოს საბჭოთა მეურნეობას წლიური გეგმა შესრულებული აქვს 76,0 პროცენტით, სალბაურის — 76,1, ჩაქვის — 88,8, ოჩხამურის — 90,6 ცეცხლაურის — 90,7 ნატანების — 81,0, ლაითურის — 90,0, ნასაკირალის — 71,8, წულუკიძის — 96,5, ინგირის — 95,4, ნარაზენის — 87,2, ხეცერის — 93,8, აჩიგვარის — 92,3, ხოლო აჭარის ჩაის ტექნიკუმს — 97,0 პროცენტით.

მზრალად ხვნა

10 სექტემბრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში მზრალად მოხნულია 61.494 ჰექტარი. აქედან სექტემბრის მეორე ხუთდღიურში — 12.987 ჰექტარი. რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 41,0 პროცენტით.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში დავალება 46,4 პროცენტით არის შესრულებული, ახალქალაქის რაიონში — 43,2, ბოგდანოვკის — 52,8, ახალციხის — 37,6, ადიგენის 40,0, ასპინძის — 42,5, ხაშურის — 67,5, ქარელის — 62,4, გორის — 38,9, კასპის — 9,5, ბორჯომის — 24,1, წალკის — 47,8, დუშეთის — 26,2, თეთრი წყაროს — 22,4, თიანეთის — 13,0, გურჯაანის — 61,0, კაჭრეთის — 38,0, სიღნაღის — 23,1, წითელწყაროს — 64,3, თელავის — 27,7, ახმეტის — 40,7, ყვარლის — 66,0, ლაგოდეხის — 43,0, თბილისის — 19,6, მცხეთის 18,9, გარდაბნის — 27,5, მარნეულის — 23,8, ბოლნისის — 16.5, საგარეჯოს რაიონში — 23,4 პროცენტით.

ჩაისა და ციტრუსების მეურნეობის განვითარება ჩვენი მეფეების ზრუნვის საგანია

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ სერიოზული ამოცანები დაგვისახა ჩაისა და ციტრუსების მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დარგში. ამ მხრივ დიდი სამუშაო აქვთ დაკისრებული ჩხოროწყუს რაიონის მშრომელებს. მათ უნდა გააშენონ ჩაისა და ციტრუსების ახალი პლანტაციები, მკვეთრად გაადიდონ ამ კულტურების შოსავლიანობა.

ყრილობის შემდეგ რაიონის მშრომელებმა თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს ამ ამოცანის შესასრულებლად. წელს უნდა გაშენდეს 150 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. აქედან 40 ჰექტარი გაზაფხულზე გაშენდა, ხოლო შემოდგომაზე გაშენდება 110 ჰექტარი. საამისოდ ნიადაგის მომზადება წარმატებით მიმდინარეობს.

პარტიის რაიკომი სისტემატურად იხილავს ჩაის კულტურის შემდგომი განვითარების საკითხებს და პარტიულ ორგანიზაციებს უსახავს სათანადო ღონისძიებებს. ამის შედეგად წელს ჩხოროწყუელმა მეჩაიეებმა ერთგვარი წარმატება მოიპოვეს. რაიონში 2.078 ჰექტარი ჩაის პლანტაციაა. პლანტაციებში საჭამთრო და საგაზაფხულო სამუშაოები დროზე და აგროწესების დაცვით დამთავრდა. პირველი და მეორე თოხნა ჩატარდა ჩაის პლანტაციის მთელ ფართობზე, მესამე თოხნა — 1.430 ჰექტარზე. სასუქები დროულად იქნა პლანტაციებში შეტანილი.

ჩაის პლანტაციების მოვლის გაუმჯობესებამ გამოიწვია მოსავლიანობის გადიდება. გამოყოფილია და კოლმეურნეებს მიჩენილი აქვთ სტახანოვური ნაკვეთები 438 ჰექტარის რაოდენობით. გვალვის პერიოდში 80 ჰექტარი პლამტაცია მოირწყო. კოლმეურნეობებში საგრძნობლად გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია, თვითეულ მკრეფავს ეძლევა კრეფის ყოველდღიური დავალება.

10 სექტემბრამდე ჩვენმა მეჩაიეებმა მოკრიფეს 1.856.500 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.750.000 კილოგრამისა. წლიური გეგმა შესრულებულია 106,1 პროცენტით.

ჩაის ფოთლის კრეფაში განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფელ ხაბუმის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წარმატება. მან წლიური გეგმა ვადამდე შეასრულა. ახლა ის იბრძვის გეგმის გადამეტებით 103 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოკრეფისათვის. ამ კოლმეურნეობაში სახელი გაითქვეს ბრიგადებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ზ. შენგელია, ე. შენგელია, ვ. ბერია, ა. შენგელია. ბრიგადირ ზ. შენგელიას წლიური დავალება შესრულებული აქვს 125 პროცენტით, ვ. შენგელიას — 128 პროცენტით. სტახანოველი მკრეფავი ცყალიჩავა იბრძვის 0,5 ჰექტარზე 6.000 კილოგრამი ჩაის მიღებისათვის. მას უკვე მოკრეფილი აქვს ოთხი ათას კილოგრამზე მეტი. ამავე დროს იგი რგოლის ხელმძღვანელია. ასევე კარგად მუშაობენ თამარ ჩალიგავა, თამარ შენგელია, ნორა ქარჩავა, ნორა გოგუა და მრავალი სხვა.

წარმატებით მუშაობს ამავე სოფლის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც წლიურ გეგმას მნიშვნელოვნად გადაჭარბა. ჩაის ფოთლის კრეფაში დაწინაურდა პირველი ბრიგადა, რომელსაც დ. შენგელია ხელმძღვანელობს. მან წლიური გეგმა 135,5 პროცენტით შეასრულა. მესამე ბრიგადამ (ბრიგადირი ნ. გოგუა) წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. მერგოლურმა ძაძუ გოგუამ 2,5 ჰექტარზე მოკრიფა 11.400 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და წლიური დავალება 140 პროცენტით გაანაღდა. წლიური გეგმები უკვე შეასრულეს ჩხოროწყუს მახარაძის, ლესიჭინის კიროვის სახელობის და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა.

ჩაის ფოთლის გადამუშავების საქმეში ჩხოროწყუს ჩაის ფაბრიკამ წელს ერთგვარი მიღწევები მოიპოვა. ფაბრიკამ ქვეყანას უნდა მისცეს 422,6 ტონა მზა პროდუქცია. უკვე გამოშვებულია 224,5 ტონაზე მეტი. ფაბრიკამ სამი თვის გეგმა 103,9 პროცენტით შეასრულა. უმაღლესი ხარისხის ჩაის გამოშვების გეგმა განაღდებულია 105.6 პროცენტით, ხოლო პირველი ხარისხისა—88 პროცენტით.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების უმრავლესობა კარგად ახორციელებს კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობისადმი კონტროლის უფლებას. ამ მხრივ აღსანიშნავია სოფელ ხაბუმის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მუშაობა. პარტორგანიზაციის მდივანი ტ. გორდულაძე სისტემატურად იხილავს ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავების, ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარეობის საკითხებს, გამოაქვს კონკრეტული დადგენილებანი და ბოლომდე ადევნებს თვალყურს მათს შესრულებას. კრებებზე ისმენენ კომუნისტების მუშაობის ანგარიშს. აქ კომუნისტები ავანგარდულ როლს გვიჩვენებენ. მაგალითად, შრომაში თავი გამოიჩინეს კომუნისტებმა ა. ქარჩავამ, ს. ცირამუამ და სხვებმა.

ჩაის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში ლესიჭინის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს კარგად ეხმარება პირველადი პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი ნ. სიჭინავა). მეურნეობამ წლიური გეგმით უნდა მოკრიფოს 390 ტონა ჩაის ფოთოლი. მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 100 ტონა ჩაი. მეურნეობის 319,26 ჰექტარი ჩაის პლანტაცია კარგად არის დამუშავებული. აქ მუშაობს ცნობილი სტახანოველი ნაზია კუპავა, რომელსაც ნაკისრი აქვს 0,5 ჰექტარზე მოკრიფოს 6.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. 1 სექტემბრისათვის მას მოკრეფილი აქვს 4.000 კილოგრამამდე. ვენერა კაციამ მოკრიფა 3.600 კილოგრამი, მადუშა ანჯაფარიამ—3.700 კილოგრამი, ხოლო პოლინა ფედოროვამ—3.500 კილოგრამი. ასეთი მაგალითები ბევრია. განსაკუთრებით დაწინაურდა მეურნეობის მესამე განყოფილება, რომლის უფროსია დ. დარსალია. მან წლიური გეგმა ვადამდე შეასრულა.

კოლმეურნეობები წელს განსაკუთრებით უფლიან ციტრუსების პლანტაციებს, მაგრამ ამ მხრივ ნაკლოვანებებიც არის. ციტრუსოვანთა პლანტაციების მოვლა-დამუშავებას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სოფელ ჭოღის ბერიას, ლენინის, თაიის მოლოტოვის, მუხურის კომუნიზმის, კირკხის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობათა გამგეობები და პარტორგანიზაციები. დასახულია ღონისძიებანი ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

პარტიის რაიონული კომიტეტი შემდგომშიც განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ჩაის და ციტრუსოვანთა პლანტაციების მოვლისა და მოსავლიანობის გადიდების საკითხებს. რაიონის მეჩაიეები და მეციტრუსეები სანმუშოდ მოუვლიან ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებს, წარმატებით შეასრულებენ ჩაის გაშენების საშემოდგომო გეგმას და უზრუნველყოფენ საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოების საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებას, კიდევ უფრო გაადიდებენ ჩაის მოსავლიანობას და წელს გეგმის გადამეტებით მისცემენ სამშობლოს 300 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

ჩხოროწყუს რაიონის ბოლშევიკები ენერგიას არ დაზოგავენ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელების-თვის, ბოლშევიკურად შეასრულებენ ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისათვის მიცემულ პირობას.

მ. პაჭკორია
საქართველოს კ პ. (ბ) ჩხოროწყუს რაიკომის მდივანი

ვაზის სელექცია

იწყება დიდი მნიშვნელობის სამუშაობა ვენახებში — ვაზის სელექცია.

რა არის ვაზის სელექცია, რომელიც აგროწესებით სავალდებულოა?

გამორკვეულია და აგროწესებშიც აღნიშნულია, რომ თითქმის ყველა ვენახში გვხვდება უხვმოსავლიან ვაზებთან ერთად ან სრულიად უმოსავლო, ან მცირემოსავლიანი ერთი და იგივე ჯიშის ვაზი, „საფერავი" იქნება ის, „მწვანე" თუ „რქაწითელი", ცხადია, როგორი ვაზიდანაც ავიღებთ გასამრავლებლად რქას, ისეთ მოსავლიან ვაზს მივიღებთ ახლად გაშენებულ ვენახში. თუ ახლა სელექცია არ ჩავატარეთ, არ გვეცოდინება, გაზაფხულისათვის საიდან ავიღოთ გასამრავლებელი რქა და უნებლიეთ, შეიძლება არასასურველი ვაზები გავამრავლოთ. ამიტომ ახლავე უნდა შეეუდგეთ სელექციას — შერჩევას.

მეხილეობის უდიდესი სელექციონერის ი. ვ. მიჩურინის მეთოდები აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ჩვენს მევენახეობაში.

თუ როგორ უნდა შეეასრულოთ ეს სამუშაო, ნაჩვენებია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ და მ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნგრეთის სახელმწიფო პროკურატურის საბრალდებო აქტი რაიკისა და მის თანამონაწილეთა საქმეზე

ბუდაპეშტი, 11 სექტემბერი. (საკვლევი). ...ეს უნგრეთის გაზეთები აქვეყნებენ საბრალ...ებო აქტს უნგრეთის ყოფილი საგარეო საქმე...ა მინისტრის ლასლო რაიკისა და მის თანამონაწილეთა საქმეზე. რომლებსაც ბრალად ედებათ დანაშაულობანი, მიმართულნი უნგრეთი... დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების დამხობისაკენ, და მთელი რიგი სხვა ანტისახელმწიფებრივი დანაშაულობანი.

ბუდაპეშტის სახელმწიფო პროკურატურის საბრალდებო აქტი (საქმე № 851661/2—1949 წ.), ხელმოწერილი პროკურატურის თავმჯდომარის დოქტორ ალპარ დიულის მიერ და 1949 წლის 6 სექტემბრით დათარიღებული, გაეგზავნა ბუდაპეშტის სახალხო სასამართლოს. საბრალდებო აქტში ნათქვამია:

სახალხო სასამართლო

ქალაქი ბუდაპეშტი

რაიკისა და მის თანამონაწილეთა საბრალდებო აქტის გამოსაცხადებლად, რომელთაც ბრალად ედებათ დანაშაულობანი, მიმართულნი დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების დამხობისაკენ, და სხვა დანაშაულობანი, ვადგენ გამოძიების შემდეგ ცნობებს. მე ბრალს ვდებ:

1. ლასლო რაიკს

ა) სამხედრო დანაშაულში და დანაშაულში სახლის წინააღმდეგ უნგრეთის მთავრობის 81/1945 განკარგულების § 13 მე-4 პუნქტის საფუძველზე და უნგრეთის მთავრობის 1440/1945 განკარგულების § 10 მე-5 პუნქტის საფუძველზე, რომლებიც დაკანონებულია 1945. VII კანონით,

ბ) სამშობლოს ღალატში 1930. III კანონის § 60 მე-2 პუნქტის საფუძველზე და 1934. XVIII კანონის აბზაცი (3) § 2 საფუძველზე,

გ) დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების დამხობისაკენ მიმართული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში, 1946. VII კანონის აბზაცი (1) § 1 საფუძველზე.

2. დიერდ პალფის

ა) დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების დამხობისაკენ მიმართული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში, 1946. VII კანონის აბზაცი (1) § 1 საფუძველზე.

ბ) სამშობლოს ღალატში, 1930. III კანონის § 60 მე-2 პუნქტის საფუძველზე და 1934. XVIII კანონის აბზაცი (3) § 2 საფუძველზე.

3. ლაზარ ბრანკოვს

ა) დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების დამხობისაკენ მიმართული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში, 1946. VII კანონის აბზაცი (1) § 1 საფუძველზე,

ბ) მკვლელობის წაქეზების მონაწილეობაში, რაც ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 69 მუხლის § 1 საფუძველზე და სისხლის სამართლის კოდექსის 278 მუხლის საფუძველზე.

4. დოქტორ ტიბორ სენიის

ა) სამშობლოს ღალატში, 1930. III კანონის § 60 მე-2 პუნქტის საფუძველზე და 1934. XVIII კანონის აბზაცი (3) § 2 საფუძველზე,

ბ) დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების დამხობისაკენ მიმართული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში, 1946. VII კანონის აბზაცი (1) § 1 საფუძველზე.

5. ანდრაშ სალაის

ა) სამხედრო დანაშაულში, უნგრეთის მთავრობის 81/1945 განკარგულების § 11 მე-5 პუნქტის საფუძველზე, რაც დაკანონებულია 1945. VII კანონით,

ბ) სამშობლოს ღალატში, 1930. III კანონის § 60 მე-3 პუნქტის საფუძველზე და 1934. XVIII კანონის აბზაცი (3) § 2 საფუძველზე.

გ) დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების დამხობისაკენ მიმართული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში, 1946. VII კანონის აბზაცი (1) § 1 საფუძველზე.

6. მილან ოგნენოვიჩს

სამშობლოს ღალატში 1930. III კანონის § 60 მე-3 პუნქტის საფუძველზე და 1934. XVIII კანონის აბზაცი (2) § 2 საფუძველზე.

7. გელა კოროდზის

დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების დამხობისაკენ მიმართული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში. 1946. VII კანონის აბზაცი (1) § 1 საფუძველზე.

8. პალ იუსტუსს

ა) დანაშაულში, რომელიც ისჯება უნგრეთის მთავრობის 1440/1945 განკარგულების მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, რაც დაკანონებულია 1945. VII კანონით.

ბ) სამშობლოს ღალატში 1930 III კანონის § 60 მე-2 პუნქტის საფუძველზე და 1934. XVIII კანონის აბზაცი (3) მე-2 პუნქტის საფუძველზე,

გ) დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების დამხობისაკენ მიმართული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში, 1946. VII კანონის აბზაცი (1) § 1 საფუძველზე, ვინაიდან მან ლასლო რაიკისა და მის თანაშემწეებთან ერთად შექმნა და სთავეში ჩაუდგა ორგანიზაციას, რომელიც მიზნად ისახავდა დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების დამხობას, რაც ისჯება 1946. I კანონის საფუძველზე.

I

ა) ლასლო რაიკი დაიბადა 1909 წელს სეკე

უნგრეთის სახელმწიფო პროკურატურის საბრალდებო აქტი რაიკისა და მის თანამონაწილეთა საქმეზე

(დასასრული)

მილოშ მოიჩი დაჟინებით განაგრძობდა თავისას, მოეკლა იგი. ამის შემდეგ ბრანკოვმა გადასცა ბოიროვს იუგოსლავიის დესპანის მრავზოვიჩის რევოლვერი და ბოიროვმა 1948 წლის 10 ივნისს რევოლვერის რამდენიმე ტყვიით მოკლა მილოშ მოიჩი მის ბინაზე.

ამრიგად, ლაზარ ბრანკოვმა ბოიროვს მოაკვლევინა მილოშ მოიჩი, ესე იგი ჩაიდინა დანაშაული, წაყენება მკვლელობა.

IV

ა) დოქტორი ტიბორ სენინი დაიბადა 1903 წელს. 1930-დან 1945 წლამდე, სანამ უნგრეთში ამერიკის ჯაშუშად დაბრუნდებოდა, მხოლოდ საზღვარგარეთ ცხოვრობდა. 1938 წელს იგი შვეიცარიაში გამოჩნდა, სადაც ომის დროს შვეიცარიაში მყოფი უნგრელი ემიგრანტებისაგან შექმნა ტროცკისტული ჯგუფი. ამის შემდეგ მალე მან კავშირი დაამყარა ამერიკის ჯაშუშური ორგანიზაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან ნოელ ჰ. ფილდთან, შემდეგ მის უფროს ალენ დალესთან, რომელიც სტრატეგიულ სამსახურთა ბიუროს (Office of Strategic Service) ამერიკული ჯაშუშური ორგანიზაციის უფროსი იყო. ფილდი დასპეციალებული იყო ეგრეთ წოდებულ მემარცხენე ელემენტებთან კავშირის დამყარებაში. იგი დაკავშირებული იყო შვეიცარიაში მყოფ სხვადასხვა ეროვნებათა ემიგრანტულ ჯაშუშურ ჯგუფებთან. დალესის მითითებით, ტიბორ სენინმ კავშირი დაამყარა ბუქარესტში იუგოსლავიის მისიის ახალგაზრდა 1-ლ მრჩეველთან ლომპარ მიშასთან, რომელიც ომის დროს ტიტოსა და შეერთებული შტატების ჯაშუში იყო შვეიცარიაში და სენინის მსგავსად მატერიალური კომპენსაციით ეწეოდა ჯაშუშობას დალესისათვის. სენინი აჩვენებს, რომ 1944 წელს მას და მისი ჯგუფის წევრებს ლომპარ მიშამ გადასცა ყალბი დოკუმენტები, რომლებშიც სენინი და მისი ჯგუფის წევრები გამოყვანილი იყვნენ იუგოსლავიაში მიმავალ ოფიცრებად. იუგოსლავიისა და ამერიკის დაზვერვითმა ორგანიზაციებმა ტიბორ სენინი და მისი ჯაშუშური ჯგუფი შვეიცარიიდან მარსელში გაგზავნეს, სადაც იუგოსლავიის მარსელის კონსულო ლატინოვიჩი (მეკამად იუგოსლავიის დესპანი შვეიცარიაში) მარსელში ამერიკის ჯაშუშურ ორგანიზაციის ხელმძღვანელთან იყო და მიალწია იმას, რომ ჯაშუშური ჯგუფის განკარგულებაში გადასცეს ამერიკის სამხედრო თვითმფრინავი. ვინაიდან იმ დროს მი კიდევ გრძელდებოდა, სპეციალური სამხედრო თვითმფრინავის გამოყენების ნებართვას ამერიკის მთავარი ბანაკი იძლეოდა. სენინმ განაცხადა, რომ ბელგრადში ისინი შევიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც თავიანთი დოკუმენტები აჩვენეს იუგოსლავიის მაიორ კოვაჩევიჩს. მაიორმა ისინი გაგზავნა იუგოსლავიის პოლიტიკურ პოლიციაში — ოზნაში, სადაც მათ რამდენიმე დღის განმავლობაში უწევდნენ ინსტრუქტაჟს, შემდეგ კი სათანადო მზღვლებლებით ნოვისადისა და სუბოტიცის გზით სეგედში გაგზავნეს. როგორც იუგოსლავიის სამხედრო მისია. სეგედში სენინს ჯგუფები, ვოზნას ოფიცრის მაიორ კალაფატჩიჩის მითითებით, იუგოსლავიური დოკუმენტები მოსწო.

სენინმ და მისმა ჯაშუშურმა ბანდამ დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი პოზიციები დაიკავეს. თვითონ სენინი კომუნისტური პარტიის კადრების განყოფილების ხელმძღვანელი გახდა, რამაც მას შესაძლებლობა მისცა სათანადო პოსტებზე გაეგზავნა მასთან ერთად ჩასული ამერიკელი ჯაშუშები ან ის პირები, რომლებსაც მას რიაკი უგზავნდა. სენინი და მისი დახმარებით სამუშაოზე მოწყობილი ჯაშუშები საიდუმლო ცნობების ნაწილს შინაპოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ გადასცემდნენ თავიანთ მეკავშირეებს უშუალოდ ბუდაპეშტში, ხოლო ნაწილს ზეკრიკების საშუალებით გზავნიდნენ შვეიცარიაში, შეერთებული შტატების დაზვერვითს ორგანიზაციაში. 1947 წლის თებერვალში სენინმ მიიღო სპეციალური მითითება დიდმნიშვნელოვან ადმინისტრაციულ საუშაოზე გაეგზავნა ამერიკის ჯაშუშები ბელა სასი, დიერდ ადამი და ივანი მატე. 1946 წლის შემოდგომაზე, ალენ დალესის მითითებით, სენინის მოქმედება დაეკვემდებარა რაიკს. რომლის განკარგულებაშიც გადაცემულ იქნა მისი ჯაშუშური ჯგუფიც.

ტიბორ სენინი, რომელიც პარლამენტის დეპუტატი იყო, ბოროტად იყენებდა თავის ოფიციალურ მდგომარეობას, უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლებს გადასცემდა საიდუმლო ცნობებს უნგრეთის სახელმწიფოს საერთაშორისო და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. ეწეოდა ჯაშუშობას, ესე იგი ჩაიდინა ღალატი.

ბ) ტიბორ სენინი დაეხმარა ჯგუფის წევრებს 1945 წლის იანვარში სამშობლოში მათი დაბრუნების შემდეგ გზავნიდა სხვადასხვა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო, ადმინისტრაციულ და ეკონომიურ პოსტებზე. მაგალითად, ფერენც ვაკი მან სამუშაოდ მოაწყო პრემიერ-მინისტრის პრესის განყოფილებაში, იშტვან ფელდი—უნგრეთ-საბჭოთა ნავთის საწარმოში, ხოლო შემდეგ მრეწველობის სამინისტროში, პეტერ ბალაბანი — რადიოს რედაქციაში, დიერდ ხოდონი— საგეგმო სამმართველოში, ეტმი ანდრაშ კალმანი — სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში, ეტმი დიულა კუტი—მედიცინის მუშაკთა პროფკავშირში. 1947 წლის თებერვლად სენინი ყოველ ორ თვეში რეგულარულად იწვევდა თავისი ჯაშუშური ჯგუფის თათბირს. 1947 წლის თებერვლის შემდეგ კონსპირაციის მოსაზრებით იგი მათ მხოლოდ ცალცალკე ესაუბრებოდა. კონფერენციაზე თავისი ჯაშუშური ორგანიზაციის წევრებს მან მითითება მისცა ჯაშუშურ ორგანიზაციაში შეეყვანათ ახალი ადამიანები, ისინი, ვინც სახალხო დემოკრატიის მტერია. სენინ მუდამ აწვდიდა რაიკს ინფორმაციას მის მიერ გადმობარებული ჯაშუშების მუშაობის ადგილის შესახებ და თავისი ორგანიზაცია რაიკის განკარგულებაში გადასცა. რაიკი თავის მხრივ რეგულარულად აწვდიდა სენინის ინფორმაციას თავის მიზნებზე, აგრეთვე იმ დირექტივების შესახებ, რომლებსაც იგი ტიტოსა და რანკოვიჩისაგან იღებდა. 1949 წლის გაზაფხულზე ტიბორ სენინი არაერთხელ ეწეოდა ლასლო რაიკთან მოლაპარაკებას რესპუბლიკის დამხობისა და ხელისუფლების ძალით ხელში ჩაგდებინ შესახებ.

ამრიგად, ტიბორ სენინმ ჩაიდინა დანაშაული, ხელმძღვანელობდა რა ორგანიზაციულ მუშაობას, რომელიც მიმართული იყო 1946 წლის I კანონით დაფუძნებული სახელმწიფოსა და უნგრეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამხობისაკენ.

V

ა) ანდრაშ სალაი დაიბადა 1918 წელს. 1935 წელს იგი პოლიციის ჯაშუში გახდა. ამ ხნიდან იგი პროფოკატორი იყო ხან იუგოსლავიაში, ხან უნგრეთში. პოლიციის ჯაშუშად ყოფნის დროს მან 1942 წელს ხელში ჩაუგდო პოლიციის მაძებარ ანტალ იუხასს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ხელმძღვანელობის წევრები: ენდრე შაგვარი, ლასლო ორბანი, ევა ლაკოში და პეტერ ერდეში. მისი გამოშკარავებისათვის რომ თავი დაეღწიათ, ამისათვის მას მცირე სასჯელი მიუსაჯეს, რაც მოიხადა 1944 წელს შატორალიაუიხეის საპყრობილეში, სადაც მუშაობას განაგრძობდა პოლიციისათვის. იმ დროს შატორალიაუიხეის პოლიტიკური პატიმარი უნგრელები და იუგოსლავები ხვრელის გასაყვანად ემზადებოდნენ. ანდრაშ სალაიმ ამ ხვრელის ამბავი და გაქცევის დაწვრილებითი გეგმა აცნობა საპყრობილის უფროს ლინდბერგს. რადგან საპყრობილის უფროსსა ღალატის შედეგად იცოდა გაქცევის გეგმა, მან კონტრზომები მიიღო. მოკლეს ან უფრო გვიან სიკვდილით დასაჯეს 64 პატიმარი. ანდრაშ სალაი ჯაშუშობის სამაგიეროდ გათავისუფლეს.

ამრიგად, ანდრაშ სალაიმ სამხედრო დანაშაული ჩაიდინა, როგორც 64 პოლიტიკური პატიმრის დახოცვის ან უკანონოდ სიკვდილით დასჯის თანამონაწილემ.

ბ) ანდრაშ სალაი დიდხანს ეწეოდა უნგრეთში ჯაშუშობას იუგოსლავიის ჯაშუშური ორგანიზაციის სასარგებლოდ. ბრანკოვის ჩვენებით:

„სალაი სამუდამოდ დაუკავშირდა რანკოვიჩსა და „უდა“-ს, რომელსაც ხელში ჰყავდა იგი, რადგან იცოდა შატორალიაუიხეის საპყრობილეში მისი ღალატის ამბავი“.

ანდრაშ სალაი პირველად ჯაშუშობას ეწეოდა იუგოსლავიელ მაიორ სმილანიჩის დავალებით, რომელიც, როგორც იუგოსლავიის სარეპარაციო სამმართველოს ხელმძღვანელი, უნგრეთში მუშობდა. უფრო გვიან იგი გადასცეს მისიის მრჩეველ ბრანკოვს, ხოლო შემდეგ იუგოსლავიის ჯაშუშ შედიანჩს. თავისი ჯაშუშური საქმიანობის პროცესში ბრანკოვის დავალებით მან ეშოვა საზღვრის დაცვის მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმის პროექტი, აგრეთვე შენიშვნები ამ გეგმის შესახებ. იგი გადასცემდა საიდუმლო ცნობებს მინისტრთა საბჭოს საიდუმლო გადაწყვეტილებათა შესახებ და სხვა საკითხებზე. სალაის კავშირი ჰქონდა დამყარებული იუგოსლავიის ჯაშუშ ანტონ რობთან, რომელსაც შეატყობინა ქარხნების ნაციონალიზაციის კანონის მომზადების ამბავი ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ეს კანონი პრესაში გამოქვეყნდებოდა. ამრიგად, ანდრაშ სალაი უცხოელებს აწვდიდა საიდუმლო ცნობებს უნგრეთის სახელმწიფოს ეკონომიური და სამხედრო მდგომარეობის შესახებ, და სერიოზულ საფრთხეში აგდებდა სახელმწიფოს ინტერესებს, ე. ი. ჩაიდინა დანაშაული—ჯაშუშობა და სამშობლოს ღალატი.

გ) ანდრაშ სალაი, როგორც იუგოსლავიის ჯაშუშური ორგანიზაციის აგენტი, სახელმწიფოებრივი აპარატის მნიშვნელოვან პოსტებზე გზავნიდა ჯაშუშური ორგანიზაციის მიერ შერჩეულ პირებს. იუგოსლავიის ჯაშუშური ორგანიზაციის მითითებათა შესაბამისად მან გააერთიანა ეს ადამიანები და ხელმძღვანელობდა მათს მუშაობას. მაგალითად, ანდრაშ სალაიმ საგარო საქმეთა სამინისტროში გაგზავნა იოანეფ რექსი და ბრანკოვის მითითებით მიაღწია იმას, რომ რექსმა შეძლო საგარეო საქმეთა სამინისტროში დარჩენილიყო, თუმცა საფუძვლიანი ეჭვი ჰქონდათ, რომ იგი ჯაშუშობას ეწეოდა იუგოსლავიის სასარგებლოდ. ამნაირადვე მან სარეპარაციო სამმართველოში გაგზავნა პოლიციის ყოფილი კაპიტანი იუგოსლავიის ჯაშუში იოანეფ ზეგედიუში. სალაიმ მიაღწია იმას, რომ უნგრეთში იუგოსლავიის ჯაშუშური ორგანიზაციის მზვერავი ანტონ რობი დეპუტატად დაასახელეს. 1948 წლის სექტემბერში, ანტონ რობის მითითებით, მან პარტიულ სკოლაში გაგზავნა იუგოსლავიის ჯაშუში მიღენკო კოვაჩევიჩი. იგი მუდმივად ხელმძღვანელობდა ამ ჯაშუშებს.

ამრიგად, ანდრაშ სალაი იმ ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, რომლის საქმიანობაც მიმართული იყო 1946 წლის I კანონით დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების დამხობისაკენ.

VI

მილან ოგნენოვიჩი, უნგრელი მოქალაქე, 1945 წლიდან იყო იუგოსლავიის ჯაშუშური ორგანიზაციის ხელმძღვანელის ანტონ რობის დაქირავებული ჯაშუში. მან, ანტონ რობის მითითებით, კავშირი დაამყარა იუგოსლავიის ჯაშუშური ორგანიზაციის სხვა აგენტთან—ბუდაპეშტში იუგოსლავიის მისიის მდივან იოანეფ ბლაეიჩთან. ბლაეიჩის მითითებით, მილან ოგნენოვიჩმა ხელი მოაწერა ვალდებულებას, რომ იუგოსლავიის მზვერავად იმუშავებდა. ბლაეიჩის მითითებით, მან, როგორც იუგოსლავიის აგენტმა, გადაიბარა მეტეი კოვაჩევიჩი, მილოშ ზრატკოვი, ივან გრომჩიჩი, მილან შუტუტი. მათი მეშვეობით იგი იღებდა შინაპოლიტიკური და სხვა ხასიათის საიდუმლო ცნობებს. ამ ცნობებს ყოველთვიურად აწყამებდა მოხსენებაში და გზავნიდა იუგოსლავიის ჯაშუშური ორგანიზაციის განკარგულებაში. ამაში ჯაშუშური ორგანიზაცია რეგულარულად აძლევდა მას ფულადს გასამრჯელოს.

ოგნენოვიჩმა თავისი საქმიანობით ჩაიდინა დანაშაული: ჯაშუშობა, სამშობლოს ღალატი.

VII

ზელა კორონდი დაიბადა 1914 წელს. ჰორტის ფაშიზმის ბატონობის პერიოდში იგი ენდარმერიაში მსახურობდა და კაპიტანს წოდება ჰქონდა. საბჭოთა არმიას იგი გერმანიაში გაექცა, საიდანაც დაბრუნდა დიერდ პალფის სპეციალური მიწვევით. დიერდ პალფიმ დაადასტურა მისი ვინაობა და დემოკრატიულ არმიაში გაგზავნა მაიორის რანგით. შემდეგ პალფიმ ლასლო რაიკის ჯაშუშური ორგანიზაციის განსამტკიცებლად კორონდი შინაგან საქმეთა სამინისტროს გადასცა; აქ რაიკმა პოლიციის პოლკოვნიკად დანიშნა იგი. რაიკმა კორონდის დაავალა ყოფილი ენდარმრმებისაგან, ჰორტის არმიის ოფიცრების, უნტერ-ოფიცრებისა და სხვა ფაშისტ არამზადათაგან შეექმნა მისთვის საიმედო ისეთი ბატალიონი, რომელსაც იგი უეჭველად დაეყრდნობოდა რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედებაში. მას შემდეგ, რაც ლასლო რაიკმა აცნობა მას, რომ საქმე ეხებოდა მთავრობის საწინააღმდეგო შეიარაღებულ შეთქმულებას, კორონდმ დიერდ პალფისაგან მიიღო დირექტივა შეთქმულების გეგმის შესრულების შესახებ. 1948 წლის ივლისში, როგორც კორონდი აჩვენებს, პალფიმ მას უთხრა, რომ

„მან იცის დირექტივები, რომლებიც მე რაიკისაგან მივიღე. მან განმიცხადა, რომ მე უნდა მოვაწყო ბუდაპეშტის მნიშვნელოვანი ობიექტების დაკავება. შემდეგ მან განაცხადა, რომ მე შემიძლია იმედი ვიქონიო განსაკუთრებული პოლკისა, რომელიც მან შეადგინა და რომელიც სამედო ჰორტისტი ოფიცრებისაგან შედგება. პალფიმ მაცნობა, რომ უნდა შეეამოწმო მთავრობის წევრების მატიას რაკოშის, მიხაი ფარკაშისა და ერნე გერეს ადგილსამყოფელი და დავაპატიმრო ისინი. მან განაცხადა, რომ რამე წინააღმდეგობის შემთხვევაში მე იარაღი უნდა ვიხმარო“.

სუბრის დასასრულს პალფიმ აცნობა კორონდის, მთავრობის იძულებითი გადაყენება უეჭველად მოზერხდება, რადგან იუგოსლავიის შეიარაღებული ძალების სადამსჯელო ორგანოები დამეხმარებიანო.

ამრიგად, ბელა კორონდიმ დანაშაული ჩაიდინა როგორც იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, რომლის საქმიანობაც მიმართული იყო 1946 წლის I კანონით დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფო წყობილებისა და დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ძალადატანებით დამხობისაკენ.

VIII

პალ იუსტუსი დაიბადა 1905 წელს. 1932 წლიდან იგი უნგრეთის პოლიტიკური პოლიციის ჯაშუში იყო. იცნობდნენ რა იუსტუსს, როგორც პოლიციის ჯაშუშს, ოლოფ, ბუდაპეშტში იუგოსლავიის სამხედრო მისიის ხელმძღვანელმა პოლკოვნიკმა ობრად ციცმილმა და მისიის მუშაკმა მაიორმა იავორსკიმ იუგოსლავიის ჯაშუშური ორგანიზაციის სამსახურში ჩააყენეს იუსტუსი. იუსტუსი, როგორც ეროვნული კრების დეპუტატი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის წევრი და უნგრეთის რადიოს დირექტორი, საიდუმლო ინფორმაციას აგროვებდა და აწვდიდა იუგოსლავიის ჯაშუშურ ორგანიზაციას. პალ იუსტუსი, რომელიც ძველი ტროცკისტია და პირადი ურთიერთობა ჰქონდა მრავალ საერთაშორისო ტროცკისტთან, იუგოსლავიის ჯაშუშურ ორგანიზაციას აწვდიდა საიდუმლო ინფორმაციას, უმთავრესად სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, კომუნისტურ პარტიასა და უფრო გვიან უნგრეთის მშრომელთა პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ. ამ ცნობებს იგი იუგოსლავიის აგენტა აწვდიდა წერილობითაც და სიტყვიერადაც.

ტიტოს აგენტებს იუსტუსის ჯაშუშური სამსახური იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნდათ, რომ უკანასკნელ ხანს ბუდაპეშტში იუგოსლავიის მისიაში მომუშავე ჯაშუშებს აუწრალეს მასთან ურთიერთობა. იუსტუსისაგან საინფორმაციო მასალას ყოველთვის რანკოვიჩის საგანგებო რწმუნებულნი იღებდა. პალ იუსტუსი, იუგოსლავიის სასარგებლოდ ჯაშუშობის გარდა, ჯაშუშობას ეწეოდა ბუდაპეშტში საფრანგეთის მისიის კულტურის დარგის ატაშეს ფრანკ გაზოსთვისაც. იუგოსლავებისათვის შეკრებილი ჯაშუშური მასალის მნიშვნელოვან ნაწილს იგი აწვდიდა გაზოს. იგი გაზოს განსაკუთრებით დაწვრილებით აწვდიდა სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და უფრო გვიან უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელობის სხდომებზე მიღებულ საიდუმლო ცნობებს, აგრეთვე უნგრეთის რადიოს ორგანიზაციული, იდმინისტრაციული და ტექნიკური საკითხების საიდუმლო ცნობებს.

პალ იუსტუსი, როგორც ეროვნული კრების დეპუტატი და რადიოს დირექტორი, უცხოეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებს აწვდიდა საიდუმლო ცნობებს უნგრეთის სახელმწიფოს საერთაშორისო და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. მისი ეს მოქმედება სერიოზულად ზიანს აყენებდა სახელმწიფოს ინტერესებს. ამიტომ მას ჩადენილი აქვს დანაშაული: ჯაშუშობა, სამშობლოს ღალატი.

დასაბუთება

ლასლო რაიკმა და მისმა თანამონაწილეებმა შეადგინეს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა კონსტიტუციური კანონით გარანტირებული უნგრეთის სახალხო დემოკრატიის დამხობას, უნგრეთის დამოუკიდებლობის ლიკვიდაციას, უცხოელების მიერ უნგრეთის დამონებას, რაიკმა და მისმა ბანდამ მიზნად დაისახეს მოეწყვიტათ უნგრეთი მშვიდობის დაცვის ბანაკისათვის, რომელიც ჩვენი ხალხის თავისუფლების, ბედნიერების ერთადერთი გარანტიაა, და მიეჯაჭვათ ჩვენი ქვეყანა ომპერიალისტური ფრონტისათვის, ამით დაემცირებინათ იგი ომპერიალისტების სატელიტის, მარionეტის როლამდე. ამ მიზნის მიღწევას ისინი აპირებდნენ იუგოსლავიას სახელმწიფოს ხელმძღვანელების ტიტოს, რანკოვიჩის, კარდელისა და ჯილასის შეიარაღებული მხარდაჭერით. რაიკსა და მის ბანდას სურდათ მოეპოთ უნგრეთის სახალხო დემოკრატიის ყველა დიდი მონაპოვარი, გლეხებისათვის დარიგებული მიწა დაებრუნებინათ მემამულეებისათვის, შახტები და ქარხნები — კაპიტალისტებისათვის, ხელები შეებორკათ მშრომელი ხალხისათვის და კვლავ დაეყენებინათ ხელისუფლების სათავეში უნგრელი ხალხის მტრები, რომლებიც დასავლეთში გაიქცნენ. შეთქმულებს სურდათ გადაექცეთ უნგრეთი იუგოსლავიის კოლონიად, ტტოს კოლონიად. ტიტოსე, რომელიც თავის ბანდასთან ერთად სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკიდან უცხოეთის კაპიტალისა და რეაქციის ბანაკში გადაბარგდა და, ამრიგად, იუგოსლავია იმპერიალისტების ვასალად აქცია. რაიკისა და მის თანამონაწილეთა გეგმებს უკან იდგა ამერიკის იმპერიალიზმი, რომელმაც გერმანიისა და ავსტრიის საოკუპაციო ზონებში უკვე შეკრიბა თავისი ქოფაკები, ყოფილი ნილაშისტი, ფაშისტი, ჰორტისტი ოფიცრები, ყოფილი ენდარმები, რომლებსაც იმედი აქვთ, რომ კვლავ შეძლებენ, როგორც 1944 წელს, სისხლში ჩაახრჩონ უნგრელი მშრომელი ხალხი და კვლავ. ამჯერად არა გერმანიის ფაშიზმის, არამედ ამერიკელ იმპერიალისტთა ინტერესებისათვის გაყიდონ უნგრეთი და ამით მოსპონ ჩვენი განთავისუფლებისა და აღორძინების ყველა მონაპოვარი.

ლასლო რაიკი და მისი თანამონაწილენი ამ დანაშაულებრივი საზიზღარი მიზნების მისაღწევად არავითარი სასაძაგლის ჩადენის არ ერიდებოდნენ. ბრალდება დამტკიცებულია ბრალდებულთა აღიარებით, დოკუმენტებისათვის დართული მასალებით, რომლებიც ცნობილი გახდება პროცესზე, და შენიშვნებით. ბრალდება ყველაფერში დასაბუთებულია მოწმეთა ჩვენებით, რომელთა დაკითხვის შესახებ წინადადება წამოვაყენე საბრალდებო აქტში. არ მოიპოვება რაიმე მასალა, რომელიც მოწმობდეს, რომ ბრალდებულნი თავიანთ მოქმედებას ჩადიოდნენ ისეთ ფსიქიურ მდგომარეობაში, რომელიც გამორიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ჩადენილი დანაშაულისათვის, ან რაიმე მიზეზი, რომელიც გამორიცხავდეს პროცესის წარმოებისა და ბრალდებულთა დასჯის შესაძლებლობას. ამიტომ მათ წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას კანონიერი ძალა აქვს.

დაიხურა მშვიდობის დაცვის ამერიკის კონტინენტური კონგრესი

ნიუ-იორკი, 12 სექტემბერი. (საკდესი). მექსიკიდან მიღებული ცნობით, 11 სექტემბერს ექვ ოფუმაობა დაამთავრა მშვიდობის დაცვის ამერიკის კონტინენტურმა კონგრესმა. კონგრესს, რომელიც მთელ კვირის განრძელდა, დასწრო ლათინური ამერიკის, შეერთებული შტატებისა და კანადის ათასზე მეტი დელეგატი. კონგრესმა შეიმუშავა მშვიდობისათვის საბრძოლველად მასების მობილიზაციის პროგრამა და ფიისმინა დასავლეთი ნახევარსფეროს ქვეყნების მუშების. „გლეხებისა და ინტელიგენციის მთელ რიგ წარმომადგენელთა გამოსვლები, რომლებმაც დაგმეს ომის გაჩაღებელნი.

კონგრესის 10 სექტემბრის პლენარულ სხდომაზე მიღებულ იქნა მანიფესტი მშვიდობის დასაცავად. მანიფესტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ომი გარდუვალი არ არის, შეიძლება მისი თავიდან აცილება. ამის მიღწევა შეუძლიათ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებს. მანიფესტში აღნიშნულია, რომ შეერთებული შტატები, ინგლისი და საბჭოთა კავშირი თანამშრომლობდნენ ომის დროს და ეს იმას მოწმობს, რომ სავსებით შესაძლებელია დიდ სახელმწიფოთა ასეთი თანამშრომლობა, რაც ესოდენ საჭიროა ამჟამად. მანიფესტი მოითხოვს — შესრულდეს იალტისა და თეირანის შეთანხმებათა პირობები და გაეთანაბებული ერების ორგანიზაციის წესდება, აგრეთვე ლიკვიდირებულ იქნას ატლანტიკის სამხედრო კავშირი და გაუქმდეს რიო-დე-ჟანეიროში დადებული ხელშეკრულება, რადგან ამ მოთხოვნის შესრულება წარმოადგენს დიდ სახელმწიფოთა თანამშრომლობის განვითარებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის პირობას. მანიფესტი მოითხოვს აღრეცხული ბლოკების დაგმობასა და ომისათვის მზადებაზე ხელის აღებას; იგი მოითხოვს ატომური შეიარაღების აკრძალვას და ალაშქრებს კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში იმპერიალისტების ბატონობის წინააღმდეგ. მანიფესტი მოუწოდებს მშვიდობისა და დემოკრატიის განმტკიცებისათვის გადამწყვეტი ბრძოლისაკენ.

მეორე რეზოლუციაში კონგრესი კონკრეტულ ორგანიზაციულ ღონისძიებებს ასახელებს იმისათვის, რომ პარიზში შექმნილი მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობით ყველა ქვეყანაში გაფართოვდეს მშვიდობისათვის ბრძოლის მოძრაობა.

კონგრესს არ მიუღია გადაწყვეტილება რაიმე საამერიკათშორისო კომიტეტის შექმნის შესახებ, მაგრამ მიღებული რეზოლუციით მოუწოდებს თვითეულ ქვეყანაში მშვიდობისათვის ბრძოლის მოძრაობის მონაწილეთ განამტკიცონ კავშირი მშვიდობის მოხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივ კომიტეტთან.

კონგრესმა აგრეთვე მოიწონა რეზოლუცია, რომელიც მორწმენთ მოუწოდებს არ დაემორჩილონ ეკლესიის ბრძანებებს, რომლებიც რელიგიის ფარგლებს სცილდებიან და წარმოადგენენ პოლიტიკაში ჩარევას.

არგენტინის დელეგატ ადელ ბეტენელის წინადადებით, კონგრესმა მოიწონა რეზოლუცია, რომელიც გმობს „ტერორს, რასაც განიცდიან არგენტინის, პარაგვაისა და ჩილეს საპყრობილეებში დამწყვდეული ქალები მხლოდ იმისათვის, რომ მშვიდობისათვის ბრძოლაში მონაწილეობენ“.

რეზოლუციის მიღების გარდა, კონგრესის ხალო სხდომები მიეძღვნა მთელი რიგი დელეგატების გამოსვლებს. მათ დაგმეს საგარეო პოლიტიკა შეერთებული შტატებისა, რომლებიც ომისათვის ემზადებიან; დაგმეს დემოკრატიულ უფლებათა ჩახშობა ამერიკის შეერთებულ შტატებში; შეერთებული შტატების გაძლიერებული ჩარევა ლათინური ამერიკის ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში, მზარდი ტერორი და დევნა ლათინურ ამერიკაში, რაც ვაშინგტონის კარნახით ხორციელდება.

9 სექტემბრის საღამოს სხდომაზე კონგრესს გადაეცა მშვიდობის დაცვის პეტიცია, რომელსაც ხელს აწერს ერთი მილიონი არგენტინელი. ამ ცნობამ დელეგატების განსაკუთრებული ენთუზიაზმი გამოიწვია.

ამერიკული ზნე-ჩვეულებანი

მოლნური შრომა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 10 სექტემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ დაპატიმრეს ორი თეთრკანიანი ფერმერი მისურის შტატიდან ფრენკ და ჩესტერ ბრაუნები, რომელთაც ბრალად ედებათ, რომ მათ მოიტაცეს ზანგი მუშა რობერტ ლი ტელი, საშინლად სცემეს და შეიდეგ აიძულეს ემუშავნა მათს ფერმაში ჰერმონდელში (მისურის შტატი).

ტელი გაიქცა ბრაუნების ფერმიდან და ჩივილა ფედერალურ ხელისუფლებათან. მან განაცხადა, რომ ძმებმა ბრაუნებმა შეიპყრეს იგი წმს სანლში არკანზასის შტატში და აიძულეს წაპყოლოდა მათ, ამასთან წაიყვანეს მთელი ოჯახი და წაიღეს ბარგი, შემდეგ კი ისე სცემეს, რომ გონება დაკარგვინეს, რათა არკანზასის შტატის საზღვარზე გადაეყვანათ.

მანშჯაინის გასამართლება

ბერლინი, 10 სექტემბერი. (საკდესი). უკვე სამი კვირაა, რაც ჰამბურგში დენაციფიკაციის ინგლიური სასამართლოში მიმდინარეობს დიდი სამხედრო დამნაშავის, ყოფილი ჰიტლერული არმიის ფელდმარშალის მანშტაინის პროცესი.

სამართლდები დასკვნის 17 პუნქტში აღნიშნულია ფაქტები პოლონელ სამხედრო ტყვეთა მასობრივი ხოცვისა, რაც ხდებოდა მანშტაინის განკარგულებით პოლონეთში ჰიტლერული არმიის შეჭრის დროს, და საბჭოთა სამხედრო ტყვეებისა და სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი ხოცვისა სსრ კავშირის სამხრეთ ნაწილში. ოფიციალური გერმანული ცნობებით, მანშტაინს ბრალი მიუძღვის 75.831 კაცის მოკვლაში ყირიმში. 10 ათასი კაცი მოკლულ იქნა რამდენიმე კილომეტრის მანძილზე მანშტაინის შტაბიდან.

საბჭოთა სამხედრო ტყვეებისათვის, ნათქვამია სამართლებო დასკვნაში, იყო მხოლოდ შემდეგი შესაძლებლობანი: ისინი კვდებოდნენ ცეცმის შედეგად; მათ ხვრეტდნენ; მათ გადასცემდნენ დასახვრეტად სს ჯარებს. სამართლებო დასკვნაში აღნიშნულია შემთხვევები, როცა ათასობით საბჭოთა სამხედრო ტყვე მოსასპობად გადასცეს ეგრეთ წოდებული „უმშიროების სამსახურის“ ჯარებს. საბჭოთა სამხედრო ტყვეების მოსასპობად იყენებდნენ ჩამოხრჩობას, გაზებით მოწამლვას და სხვ. სამართლებო აქტში მოყვანილია ცნობები მანშტაინის ბრძანებით ებრაელებისა და ბოშების ძასობრივი მოსპობის, კერძოდ ქალაქ ქერჩის მთელი ებრაული მოსახლეობის მოსპობის შესახებ.

მთავარმა ბრალმდებელმა იალტარაკა იმაზე, რომ კავკასიიდან და დონიდან უკანდახევის დროს მანშტაინი ახორციელებდა ყოველივე იმის მოსპობის პოლიტიკას, რაც გერმანიის არმიას გზაზე ხვდებოდა. ბრალმდებელმა წაიკითხა დედნები ბრძანებებისა, რომლებშიც ლაპარაკი იყო დონეცის აუზის მთლიანად მოსპობის საჭიროების შესახებ.

9 სექტემბერს ბრალდების წარმომადგენლებმა სასამართლოს წარუდგინეს მანშტაინის მთავარი საველე ბანაკის დოკუმენტები, რომლებშიც სიტყვები „მოსპობა“ და „დახვრეტა“ შეიცვალა ეზოპეს ენაზე. როგორც „ბერლინერ ც�ტუნგის“ კორესპონდენტი იუწყება, ეს დოკუმენტები ეხება ათეულ ათასობით სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივ მკვლელობას სსრ კავშირის სამხრეთ ნაწილში. მე-11 არმიისადმი მანშტაინის ბრძანებაში ნათქვამია: „ცუდი სასურსათო მდგომარეობის გამო საჭიროა დაჩქარება ებრაელთა ლიკვიდაციისა ქერჩში“.

ბრალდებამ სასამართლოს წარუდგინა აგრეთვე „უმშიროების სამსახურის“ ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ ფეოდოსია „გაწყვეტილია არაკეთილსინდისიერ ელემენტებისაგან“. შემდეგ სასამართლოში წაკითხულ იქნა სს-ელთა დივიზიის სარდლობის მიერ მანშტაინის მთავარბანაკში გაგზავნილი შემდეგი ცნობა: „ამინდი: კარგი და მშრალია. სამოქალაქო მოსახლეობა დახვრეტილია“.

სამხედრო დამნაშავეს მანშტაინს სასამართლოში თავი უტიფრად და მოურიდებლად უჭირავს. ბრალდებულთა სკამზე ასვლისას მას პირში ეჭირა მოკიდებული სიგარა, ეცვა ელექტრული მახალაფერი კოსტიუმი. მანშტაინი ყველა ბრალდებას თავგადაკლულად უარყოფს.

მანშტაინ